



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 691  
02/05/2018

691-02-4-201805020950



**„ონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარე განათებისა და ქუჩების  
დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების შემოწმების მიზნით  
კომისიის შექმნის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის მერის  
2017 წლის 28 ნოემბრის N1181 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N14 დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარე განათებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების შემოწმების მიზნით **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება ონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 28 ნოემბრის N1181 ბრძანებაში „ონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გარე განათებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების შემოწმების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ და კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

- |                     |   |
|---------------------|---|
| ლევან შერაზადიშვილი | მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;   |
| ირმა ჩიხრაძე        | მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;                                 |
| ფერიდე გუგეშაშვილი  | მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტოს სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და სახაზინო მომსახურების განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახაზინო საკითხებში, კომისიის წევრი; |

ბეჟა სხიერელი

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული  
სამსახურის მერის წარმომადგენლებთან  
კოორდინაციის განყოფილების I კატეგორიის  
უფროსი სპეციალისტი გამგებლის  
წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში,  
კომისიის წევრი;

2. კომისიამ ყოველ თვიურად მონიტორინგი გაუწიოს მუნიციპალიტეტის გარე  
განათებისა და ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების  
მიმდინარეობას და შეადგინოს სათანადო აქტი;

3. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით  
დადგენილი წესით.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

